

**ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან
აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე**

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო ალექსანდრე,

2016 წლის 28 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განაცხადებით მიმართა მოქალაქე მ. კ.-მ (შემდგომში განმცხადებელი). განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მას ჰყავს 7 წლის შვილი – დ. ფ., რომელსაც დასმული აქვს აუტისტური სპექტრის დიაგნოზი და რომელიც ინკლუზიურ განათლებას სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქ. თბილისის 41-ე საჯარო სკოლის პირველ კლასში იღებს.

მიუხედავად იმისა, რომ 41-ე სკოლა მათი საცხოვრებელი ადგილიდან საკმაოდ შორს მდებარეობს, ეს სკოლა შერჩეულ იქნა ილიას უნივერსიტეტთან არსებულ ბავშვთა განვითარების კლინიკასთან სიახლოვის გამო, სადაც განმცხადებლის შვილი ე.წ. „ABA“ თერაპიას გადის.

განცხადების თანახმად, იმისათვის, რომ ბავშვი დილის 9:00 საათზე დროულად გამოცხადდეს სკოლაში, მას, ყოველ დილით, 7:00 საათზე უწევს გაღვიძება. აუტიზმის დიაგნოზიდან გამომდინარე, იგი, სხვა ბავშვებთან შედარებით, უფრო მეტ დროს ანდომებს დილის სამზადის, რასაც, ზოგჯერ, თან ერთვის ტანტრუმი. როგორც მ. კ.განმარტავს, ის, ბავშვთან ერთად მაქსიმალურად ცდილობს, რომ სკოლაში დროულად გამოცხადდეს, თუმცა ეს, ზოგჯერ, ობიექტურად შეუძლებელია.

1. საქართველოს სახალხო დამცველის კომპეტენცია დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში – ანტი-დისკრიმინაციული კანონი) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დისკრიმინაცია არის ისეთი *მოპყრობა ან პირობების შექმნა*, რომელიც პირს კანონმდებლობით დადგენილი *უფლებებით სარგებლობისას* ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო

არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. იგივე კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, „ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში...“.

ანტი-დისკრიმინაციული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე, მაშასადამე, მე-3 მუხლში აღნიშნული სუბიექტების მიერ ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც, თავის მხრივ, მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში: „ა) განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს; ბ) შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტს როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცემს შესაბამის რეკომენდაციას; გ) ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;“.

გარდა ამისა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები ჯერ არ არის აღმოფხვრილი, საქართველოს სახალხო დამცველი, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გამოსცემს რეკომენდაციას დარღვეული თანასწორობის აღსადგენად საჭირო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ამრიგად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ერთი მხრივ, თანასწორობის აღსადგენად გასცეს რეკომენდაცია იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება დისკრიმინაციის ფაქტის არსებობა და მისი უარყოფითი შედეგები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, ხოლო, მეორე მხრივ, ანტი-დისკრიმინაციული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, შესაბამის დაწესებულებას ან პირს მიმართოს ზოგადი წინადადებით.

2. ფაქტობრივი გარემოებები

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2016 წლის 28 მარტს, განმცხადებელმა ბავშვი სკოლაში დაგვიანებით მიიყვანა. სკოლაში მისვლისას, სპეციალურმა მასწავლებელმა მ. კ.-ს განუცხადა, რომ არსებობდა სკოლის დირექტორის ზეპირი მითითება, რომლის თანახმად, განმცხადებლის შვილი, დაგვიანების შემთხვევაში, როდესაც გაკვეთილის დასრულებამდე მცირე დრო იქნებოდა დარჩენილი, არ უნდა დაშვებულიყო პირველ გაკვეთილზე და სწავლა

მხოლოდ მეორე გაკვეთილიდან უნდა გაეგრძელებინა. სკოლის დირექტორის გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ გაკვეთილზე აუტიზმის მქონე ბავშვის ბოლო წუთებში დაშვებას, შესაძლოა, გამოეწვია მეცადინეობის შეფერხება. როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, სპეციალური მასწავლებელი არ ასრულებდა სკოლის დირექტორის ამ მითითებას და მოსწავლე, დაგვიანების მიუხედავად, მაინც შეჰყავდა პირველ გაკვეთილზე.

მას შემდეგ, რაც განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა სკოლის დირექტორის ზემოაღნიშნული მითითება, იგი იმავე დღეს შეეცადა დირექტორთან გაერკვია ეს საკითხი და მისი შვილისთვის გამონაკლისის დაშვება მოითხოვა, რაზეც, მ. კ.-ს თქმით, დირექტორმა, უხეში ფორმით, კატეგორიული უარი განუცხადა.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის შვილთან, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მიმართებით, ადგილი აქვს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული განათლების მიღების უფლებით სარგებლობაში ხელშეშლას, ვინაიდან არსებობს საფრთხე, რომ, დაგვიანების შემთხვევაში, მას წაერთმევა შესაძლებლობა დაესწროს გაკვეთილს. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს ზოგადად უჭირთ ლოდინი, რა დროსაც დიდია ტანტრუმის განვითარების შესაძლებლობა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა დააქვეითოს მათი სასწავლო პროდუქტიულობა მთელი მომდევნო დღის განმავლობაში.

განცხადების ავტორის აზრით, დირექტორის მითითების შესრულების შემთხვევაში, მოხდება მისი შვილის, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის, სხვა მოსწავლეებთან შედარებით, უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება, ვინაიდან არ ხდება მისი განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების სათანადოდ გათვალისწინება, რამაც მას შესაძლოა შეუზღუდოს განათლების მიღების უფლება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. კ. სახალხო დამცველს მიმართავს, გამოარკვიოს, მისი შვილის მიმართ ჰქონდა თუ არა ადგილი დისკრიმინაციას განათლების მიღების უფლებით სარგებლობისას.

2016 წლის 22 აპრილს სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელს ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა განმცხადებელი, რომელმაც აღნიშნა, რომ იგი იმყოფებოდა ქ. თბილისის 41-ე საჯარო სკოლის შენობაში, სადაც შეკრებილნი იყვნენ მისი შვილის თანაკლასელთა მშობლები და მას „ავიწროებდნენ“ და „აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას.“ აღნიშნული შემთხვევის გამო, თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი გამოცხადდა სკოლაში და შესაბამისი ოქმი შეადგინა.

როგორც ოქმშია აღნიშნული, 22 აპრილის ინციდენტის ადგილზე გამოძახებული იყო პოლიციის საპატრულო ეკიპაჟი, ხოლო, ერთ-ერთ საკლასო ოთახში კი შეკრებილები იყვნენ მ. კ.-ს შვილის თანაკლასელთა მშობლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, მასწავლებლები და დირექტორი. როგორც სახალხო

დამცველის წარმომადგენელმა გაარკვია, სკოლაში შეკრებილი მშობლები „სოლიდარობას უცხადებდნენ“ დირექტორს. იმავე დღეს გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ განმცხადებელი მ. კ., სკოლის დირექტორი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სახალხო დამცველის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განმცხადებელმა დაასახელა თავისი მოთხოვნები და სკოლის ადმინისტრაციისაგან მათი დაკმაყოფილება მოითხოვა.

სახალხო დამცველისათვის ცნობილი გახდა, რომ მ. კ.-მ, განსახილველი განცხადების ანალოგიური შინაარსის მქონე განცხადებით და იგივე მოთხოვნით, 2016 წლის 29 მარტს, ასევე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. განცხადებაში აღნიშნული საკითხების შესწავლა დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს, რომელმაც, 2016 წლის 6 მაისის დასკვნით, განცხადებაში აღნიშნული საკითხები არ მიიჩნია დადასტურებულად.

როგორც სსიპ მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის რ. ჯ.-ს მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი 2016 წლის 11 აპრილს მიცემული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, დირექტორის სადავო მითითება მოტივირებულია იმით, რომ პირველ გაკვეთილზე შესვლა, როდესაც გაკვეთილის დასრულებამდე დარჩენილია მცირე დრო, იწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას, ვინაიდან მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვას გარკვეული დრო სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ მ. კ. სადავოდ სკოლის დირექტორის ზუსტად ზემოაღნიშნულ მითითებას ხდის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში შეფასებული არ არის არც სკოლის დირექტორის ამ მითითების მიზანშეწონილობა და არც ის გარემოება, რომ ბავშვი სკოლაში, ხშირად, დაგვიანებით ცხადდება, რის გამოც ვერ ახერხებს პირველი გაკვეთილის მიმდინარეობაში სრულყოფილ მონაწილეობას, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული დავის წარმოქმნის მიზეზი გახდა.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1. ზოგადი დებულებები

ანტი-დისკრიმინაციული კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც, თავის მხრივ, შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი კი განმარტავს, რომ თუ სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები არ არის აღმოფხვრილი, სახალხო დამცველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით ასრულებს საქმის წარმოებას დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გამოცემით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სახალხო დამცველის, როგორც ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის განხილვის საგანს აუტისტური სპექტრის დიაგნოზის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, შვიდი წლის მოსწავლის ინკლუზიური განათლებით უზრუნველყოფის საკითხი წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ ინკლუზიური განათლების პროცესის სწორად ორგანიზებისათვის განმსაზღვრელი მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებია, სახალხო დამცველი, შესაბამისი საკითხის გადაწყვეტისას, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლის ამ საჭიროებებითა და საუკეთესო ინტერესებით იხელმძღვანელებს.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები განსახილველი საკითხის სპეციფიურობა, რაც განმცხადებლის შვილის დიაგნოზიდან და მისი ფსიქო-სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ასეთ პირობებში, ხშირად, შეუძლებელია იმის მყისიერად აღქმა, თუ რა ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენს ბავშვზე მისი სასკოლო აღზრდის პროცესში დაშვებული ცალკეული შეცდომა ან აღზრდის არასწორი მეთოდი. შესაბამისად, რთულია ინკლუზიური განათლების სფეროში არასწორ მოქმედებათა თითოეული შემთხვევის უარყოფითი შედეგების დროული დანახვა და გამოსწორება, რასაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ართულებს ასეთი ბავშვების ფსიქო-სოციალური მდგომარეობა. გარდა ამისა, სასკოლო აღზრდა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და როდესაც თავს იჩენს ამ პროცესში დაშვებული შეცდომების უარყოფითი შედეგები, მათი გამოსწორება, ხშირად, შესაძლოა უკვე დაგვიანებულიც კი იყოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საზოგადოების სხვა წევრებისაგან განსხვავებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ყველაზე მეტად არიან დამოკიდებულნი ოჯახის, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ შექმნილ საარსებო გარემოზე და მათზე განსაკუთრებით მძიმედ აისახება ცხოვრებისა და განვითარების არასათანადო პირობები და, ამავე დროს, რადგან ისინი, ხშირ შემთხვევაში, მოკლებულნი არიან საკუთარი ინტერესების გამოხატვისა და დაცვის შესაძლებლობას, სახალხო დამცველი, მოცემული საქმის განხილვისას, მომეტებული ყურადღებით დააკვირდება და შეაფასებს, როგორც ზოგადად სახელმწიფოს და კერძოდ, სამინისტროს ინკლუზიური განათლების პოლიტიკას, ისე შესაბამისი საჯარო სკოლის ადმინისტრაციის, თანამშრომლების თუ სხვა მონაწილე პირების ქმედებებს და მათ მიერ ბავშვის ინტერესებისათვის გამოვლენილი გულმოდგინების ინტენსივობასა და ხარისხს. აქედან გამომდინარე, თითოეული ზემოაღნიშნული ინსტიტუტის და პირის არათუ არამიზანშეწონილი მოქმედება, არამედ, მის

მიერ გამოვლენილი მცირე უმოქმედობა ან არასათანადო გულმოდგინების მცირე შემთხვევაც კი, ბავშვის სპეციფიური მდგომარეობის და მისი ინტერესებისათვის ამ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს უფლების დარღვევის და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საფუძვლად.

3.2. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობაც შესაძლოა განმცხადებელს შეეზღუდოს

როგორც უკვე აღინიშნა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსიდან გამომდინარე, დისკრიმინაციულია ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს **კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას**, რომელიმე დაცული ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ქმედება, რომელიც ახალისებს პირთა მიმართ დისკრიმინაციას რომელიმე უფლებით სარგებლობისას.

როგორც განცხადების შინაარსიდან ირკვევა, საქმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის სასკოლო, მათსადამე, დაწყებითი ზოგადი განათლების მიღების საკითხს შეეხება. აქედან გამომდინარე, შესაბამისი უფლების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც **განათლების მიღების საყოველთაო უფლებას** განსაზღვრავს.

ზოგადი განათლების საყოველთაო უფლების შინაარსს, მის მიზანს და მნიშვნელობას კიდევ უფრო აკონკრეტებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ყველას აქვს სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლება, რათა სრულად **განავითაროს თავისი პიროვნება** და შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის #84 დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ამსახველი დოკუმენტის შესაბამისად, საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, **თავისუფალი პიროვნების** ჩამოყალიბებისათვის. გარდა ამისა, განათლების სისტემა მოზარდს უვითარებს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი როლის გაცნობიერებაში.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის 24-ე მუხლი კი, განათლების საყოველთაო უფლებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

კონტექსტში განიხილავს და მიუთითებს, რომ მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ამ პირთა უფლებას განათლებაზე. იმავე მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განთლების ხელმისაწვდომობა ემსახურება მათი პიროვნების პოტენციალის სრულ გამოვლენას, ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და ადამიანთა მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას, ისევე, როგორც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას; იგი ასევე ემსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფას, თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობით.

ზოგადი განათლების მნიშვნელობაზე საუბრისას, მხედველობაშია მისაღები ის შინაარსობრივი მსგავსება, რომელიც არსებობს ზემოაღნიშნულ საერთაშორისო თუ ეროვნულ ნორმებსა და საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს შორის, რომლის თანახმად, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. საერთაშორისო და ეროვნული სამართლის განხილული დებულებების შინაარსიდან ირკვევა, რომ განათლება და კერძოდ, ზოგადი განათლება წარმოადგენს არა მხოლოდ სუბიექტურ უფლებას, არამედ, ასევე უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, ერთგვარ საჯარო ინტერესს, რაც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების არსებობაში **თავისუფალი პიროვნების** განსაკუთრებული როლითა და ფუნქციით არის განპირობებული.

სწორედ ამიტომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის #40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის ამსახველი დოკუმენტი სახელმწიფოს განათლების პოლიტიკის ამოცანად, პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას ირჩევს. პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში, კონცეფციის შესაბამისად, დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. ამგვარ შედეგზე ორიენტირება კი, გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის საზოგადოებრივ მოთხოვნილებაზე და შესაბამისად, მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტიც, რომელიც დაწყებით და საბაზო ზოგად განათლებას სავალდებულოდ აცხადებს. გარდა ამისა, იგივე ნორმის თანახმად, ზოგად განათლებას, კანონით დადგენილი წესით, სრულად აფინანსებს სახელმწიფო. ამრიგად, განხილული კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავენ **ზოგადი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის** პოზიტიურ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც უშუალოდ სახელმწიფოს ეკისრება.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ეს პოზიტიური ვალდებულება არ გულისხმობს ზოგადი განათლების მიღების პროცესის მხოლოდ ფორმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. განათლების ხელმისაწვდომობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება განათლების პროცესის იმგვარი ორგანიზება, როგორც ნებისმიერი საგანმანათლებლო შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენის საშუალებას მისცემს. ამიტომ, ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პოზიტიურ ვალდებულებაში ასევე მოიაზრებიან, მათ შორის, ისეთი ბავშვები, რომლებიც სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს განიცდიან, რაც, თავის მხრივ, შეიძლება ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა ფაქტორებით იყოს გამოწვეული. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება ექმნებოდეთ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს. ამიტომ, სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას და მიზანს ყველა ამ ბავშვების წარმატებით სწავლების გზების მოძიება წარმოადგენს.¹

ზუსტად ამ მიზანს ემსახურება ინკლუზიური განათლების დანერგვა. განათლების ამ მოდელის თანახმად, საგანმანათლებლო სისტემა თვითონ უნდა მოერგოს მოსწავლეს. სწორედ ეს უკანასკნელი მოდელი უზრუნველყოფს ადამიანების განსხვავებულობის პატივისცემას. იმისთვის, რომ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვის მიზანი იქნეს მიღწეული, საჭიროა რეალური ცვლილებები, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის ისე საზოგადოების მენტალიტეტსა და კულტურაში.²

ინკლუზიური განათლება წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რომელიც განათლების სფეროში თანასწორობის პრინციპის დაცვას უზრუნველყოფს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, ყველა ბავშვს აქვს განსაკუთრებული სასწავლო საჭიროებები, მათ შორის, გამონაკლისს არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები წარმოადგენენ. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ინკლუზიური განათლების სფეროში „გონივრული მისადაგება“ სხვადასხვა ფორმით უნდა განხორციელდეს და სახელმწიფო მაქსიმალური სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მას, რადგან მის გადაწყვეტილებებს დიდი ზეგავლენა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, რომელთა განსაკუთრებული მოწყვლადობის იგნორირებაც დაუშვებელია.³

საგულისხმოა, რომ ყველა მოსწავლის მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე

¹ <http://www.nplg.gov.ge/> – ინკლუზიური განათლება.

² Recommendation CM/Rec(2013)2 of the Committee of Ministers to member States on ensuring full inclusion of children and young persons with disabilities into society (Adopted by the Committee of Ministers on 16 October 2013 at the 1181st meeting of the Ministers' Deputies)

³ ECtHR, Çam v. Turkey, no. 51500/08, 23/02/2016, §§ 64-67

მოსწავლეებთან სწავლების ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება (მსგავსი ინსტრუქციები მასალის ახსნისას, იდენტური საშინაო დავალებები, თანაბარი დრო დავალების შესასრულებლად) ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლეს, მისი საგანმანათლებლო პოტენციალის შესაბამისი შედეგით.⁴ ამიტომ, განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას საჭიროებს.⁵ შესაბამისად, მხოლოდ სწორად დაგეგმილი განათლების პირობებში, როდესაც ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების სათანადო გაანალიზება და გათვალისწინება, ყველას ეძლევა **საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა**.⁶

სწორედ ამგვარ მიდგომას გულისხმობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის „(მათ შორის, **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის**)“ მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას. იგივე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად კი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ისევე, როგორც საჯარო სკოლაში **ინკლუზიური განათლების** დანერგვა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება ნებისმიერი მოსწავლე, მიუხედავად მისი **ინდივიდუალური სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა**, უზრუნველყოს შესაბამისი ხარისხის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობით. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჩ“⁷ ქვეპუნქტი, **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ (შემდეგში – სსსმ მოსწავლე)** მიიჩნევს იმ პირს, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის **მოდულიზირების** და გარემოზე **ადაპტირების (მაშასადამე, გონივრული მისადაგების)** საფუძველზე **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის** შედგენა და განხორციელება. რაც შეეხება ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო განმარტებას, დასახელებული მუხლის „უ“ ქვეპუნქტით, იგი წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში, თანატოლებთან ერთად.

⁴ <http://www.nplg.gov.ge/> – ინკლუზიური განათლება

⁵ იქვე

⁶ „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 8. ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

⁷ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 5

უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლამდე საქართველოს განათლების სისტემა, ინსტიტუციურ დონეზე, არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვის განათლების ერთადერთ ალტერნატივად, უმეტესწილად, სპეციალიზირებული სკოლა რჩებოდა. ამგვარი სკოლები, თავის მხრივ, მოსწავლეთა შორის სეგრეგაციის ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა, რის გამოც, განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა მშობლები, ხშირად ერიდებოდნენ ამგვარ სკოლებში ბავშვის მიყვანას, ან ბავშვები შეყავდათ მათ მოთხოვნებზე არასათანადოდ ადაპტირებულ ჩვეულებრივ სკოლებში. შესაბამისად, იმ ბავშვებს, რომლებსაც აღენიშნებოდათ, მაგალითად, უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სპეციფიური დარღვევები, ჩვეულებრივი სკოლები არ განიხილავდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებად, ვინაიდან ისინი არ ითვლებიან არც შეზღუდული შესაძლებლობის და არც სხვა რაიმე სპეციალური სტატუსის მქონე მოსწავლეებად. აღნიშნული კი, თავის მხრივ, მათი სწავლისა და ქცევის თავისებურებების არასწორ ინტერპრეტაციას, სასწავლო პროცესის არაეფექტურ დაგეგმვას, ჩარევის არასწორი სტრატეგიების და არაეფექტური ღონისძიებების განხორციელებას იწვევდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დამახასიათებელია არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის; ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობა არ წარმოადგენს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ მიჩნევის აუცილებელ წინაპირობას. შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიური განათლება წარმოადგენს განათლების მიღების თანამედროვე მეთოდს, რომელიც, ერთი მხრივ, ყოველი მოსწავლისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ხოლო მეორე მხრივ კი, მისთვის გადასაცემი და საზოგადოებაში აკუმულირებული ცოდნისა და საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესების სირთულეს ეფუძნება. ამიტომ, ინკლუზიის პრინციპი, გარკვეულწილად, დამახასიათებელია როგორც მთლიანად განათლების მიღების თანამედროვე სისტემისათვის, ისე თანამედროვე საზოგადოებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ცოდნისა და გამოცდილების მუდმივი გადაცემის და გაცვლა-გაზიარების ერთგვარ უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, რომლის ცენტრშიც პიროვნება იმყოფება. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ინკლუზიური განათლება წარმოადგენს თანამედროვე ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების უმთავრეს წინაპირობას.⁸

შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ბავშვისთვის არის ის ადგილი, სადაც იგი თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებს. როგორც აღვნიშნეთ, განათლებას ადამიანის პიროვნული განვითარებისა და თანამედროვე საზოგადოების არსებობისათვის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გააჩნია, კერძოდ, მოზარდ თაობას გადასცეს საზოგადოებაში დაგროვებული გამოცდილება და თანაცხოვრების წესების შესახებ ცოდნა. ზუსტად სკოლაში, როგორც

⁸ „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 9. ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

თანამედროვე საზოგადოების ერთგვარ მიკრო მოდელში ბავშვი და განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე არა მხოლოდ თეორიულად ეუფლება ინფორმაციასა და თანაცხოვრების წესების ცოდნას, არამედ, ინკლუზიის მეშვეობით, თანატოლებთან ერთად ითვისებს მათ და იყენებს კონკრეტულ ურთიერთობებში, ახდენს მათ ინტერნალიზაციას, იძენს ფუნქციურ ცოდნას; ბავშვის ცხოვრების ამ ეტაპზე ხდება მისი შეხედულებების და ღირებულებების ფორმირება.⁹

ამდენად, ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომელიც ცდილობს სკოლის ასაკის ყველა ბავშვის ჩართვას ერთიან სასწავლო პროცესში, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა. ამგვარი განათლების მიზანია, ნებისმიერ ბავშვს, თანატოლებთან ერთად, სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა მიეცეს. უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში მხოლოდ ფორმალურ ყოფნას ან თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარების ფორმალურ ვალდებულებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანი სასკოლო პროცესის მიმართვას იმისკენ, რომ გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.¹⁰

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად მონაწილეობს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ და არა აკადემიურ (მაგალითად, დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.¹¹

შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებულობის(ადმი) მიმღებლობა გააჩნია და შესწევს უნარი სათანადო განათლებით უზრუნველყოს ყველა მოსწავლე, განურჩევლად მათი საგანმანათლებლო საჭიროებებისა.¹²

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გონებრივი თუ ფიზიკური შეზღუდვის მქონე ბავშვი სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მის ღირსებას, ეხმარება საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვაში და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

⁹ იქვე: გვ. 5

¹⁰ იქვე

¹¹ იქვე: გვ. 8.

¹² <http://www.nplg.gov.ge/> – ინკლუზიური განათლება.

გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის განმარტებით, დასახელებული მუხლის მთავარი გზავნილი არის ის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ჩართულები იყვნენ საზოგადოების ცხოვრებაში. სახელმწიფომ ამ პრინციპის იმპლემენტაციისას ნებისმიერ სფეროში, მათ შორის განათლებაში, მიზნად უნდა დაისახოს ბავშვების საზოგადოებაში მაქსიმალური ჩართულობა.¹³ ინკლუზიური განათლება არის ღირებულებების, პრინციპების და პრაქტიკის ერთობლიობა, რომელიც მიზნად ნებისმიერი მოსწავლისათვის ხარისხიანი განათლების ეფექტურად მიწოდებას ისახავს.¹⁴

როგორც გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტმა აღნიშნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დღემდე საზოგადოებისგან გარიყულნი არიან. პრობლემა არა იმდენად მათ შეზღუდულ შესაძლებლობებში, არამედ, საზოგადოების დამოკიდებულებაშია. ბევრ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მძლავრადაა დამკვიდრებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მიმართ სოციალური სტიგმა, ცრურწმენები, სტერეოტიპები, ნეგატიური დამოკიდებულებები, რომლებიც იწვევს ბავშვების გაუცხოებას.¹⁵

კომიტეტმა ასევე მიუთითა, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს სრულყოფილი პოლიტიკა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარებისთვის აუცილებელ საჭიროებებზე და დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე იქნებოდა მიმართული.¹⁶

ევროპის სოციალური ქარტიის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიზეზის მიუხედავად, ამ კატეგორიის პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ მიიღონ აუცილებელი ზომები, საერთო პროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სწავლებისა და პროფესიული მომზადების მიზნით. ქარტიის გადასინჯულ რედაქციაში დასახელებულ მუხლს დაემატა განათლების უფლება. ევროპული კომიტეტის განმარტებით, მე-15 მუხლი მოიაზრებს ნებისმიერ შეზღუდულს და ასაკს, მათ შორის ის ფარავს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს და მოზარდებს.¹⁷ კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი განათლების სისტემის დანერგვა, რომელიც ხელმისაწვდომობის და ადაპტირების კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს.¹⁸

¹³ Committee on the Rights of the Child General Comment No. 9 (2006), The rights of children with disabilities, § 11

¹⁴ Committee on the Rights of the Child General Comment No. 9 (2006), The rights of children with disabilities, § 67

¹⁵ Committee on the Rights of the Child General Comment No. 9 (2006), The rights of children with disabilities, § 8

¹⁶ Committee on the Rights of Child, Concluding Observations, Georgia (2008), CRC/C/GEO/CO/3, გვ.10, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC/C/GEO/CO/3&Lang=En

¹⁷ EUROPEAN COMMITTEE OF SOCIAL RIGHTS DECISION ON THE MERITS Adoption: 4 November 2003 COMPLAINT No. 13/2002 By Autism - Europe against France, § 48

¹⁸ ECSR, Mental Disability Advocacy Center (MDAC) v. Bulgaria, Complaint No. 41/2007, 3 June 2008, § 37

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას კანონი არ უკავშირებს ნებისმიერ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს. იმის განსაზღვრა, აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამოკიდებულია არა იმდენად სამედიცინო დიაგნოზზე, ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე, არამედ, სწავლის პროცესში არსებულ სირთულეებზე, რომლებიც, თავის მხრივ, შესაძლებელია მრავალი და არა, აუცილებლად, მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ფაქტორით იყოს გამოწვეული. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ინკლუზიური განათლება წარმოადგენს სახელმწიფოს სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას, როდესაც მოსწავლე ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და ამიტომ, განათლების მიღების გაადვილების მიზნით, ხდება მისი სასწავლო გეგმის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმად *მოდიფიცირება*.¹⁹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინკლუზიური განათლება არ არის არც სახელმწიფოს და არც სკოლის კეთილი ნება, იგი განათლების საყოველთაო კონსტიტუციური უფლების არსიდან და სახელმწიფოს შესაბამისი პოზიტიური ვალდებულებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს. ამდენად, ინკლუზიური განათლება უნდა მივიჩნიოთ განათლების კონსტიტუციური უფლების რეალიზების იმგვარ ფორმად, რომლის არამართლზომიერი შეზღუდვაც ავტომატურად ნიშნავს საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას.

3.3. ინკლუზიური განათლების ეფექტური განხორციელება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის, პირის შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

განსახილველი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი განათლების მიღების კონსტიტუციური უფლებით სარგებლობისას, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციული მოპყრობის ან ასეთი *წინაპირობების არსებობის* გარკვევის საჭიროების წინაშე დგას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლება თვითონ წარმოადგენს განათლების მიღების კონსტიტუციური უფლების არსებითად შემადგენელ ნაწილს და ამ უფლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რის გამოც, მისი არასათანადოდ უზრუნველყოფა თავისთავად ნიშნავს შესაბამისი კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის შეზღუდვას.

¹⁹ „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 6. ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, საქმე *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის* დაწყებითი ზოგადი განათლებით უზრუნველყოფის საკითხს ეხება, სახალხო დამცველის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, სკოლაში *შექმნილმა პირობებმა* იმდენად ხომ არ შეზღუდა მოსწავლის ინკლუზიური განათლებით სათანადოდ სარგებლობის შესაძლებლობა, რომ ამით განათლების საყოველთაო *უფლების რეალიზება დადგა ეჭვ ქვეშ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცილებელია განსახილველი სადავო საკითხი ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის კონტექსტში იქნეს გაანალიზებული.*

როგორც უკვე აღინიშნა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინკლუზიური განათლება განმარტებულია, როგორც *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის* ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

ზემოაღნიშნული მუხლის „ჩ²“ ქვეპუნქტით კი, *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონედ* მიიჩნევა მოსწავლე, რომელსაც თანატოლებთან შედარებით აქვს სიძნელე სწავლაში და რომლისთვისაც საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის *მოდულიზირება* ან/და სასწავლო გარემოსთან *ადაპტაცია* ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეშვეობით.

მხედველობაშია მისაღები, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრისას გადამწყვეტია არა პირის სამედიცინო დიაგნოზი ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, არამედ, სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები, რაშიც სამედიცინო დიაგნოზი, მნიშვნელოვან, თუმცა, არა გადამწყვეტ როლს შეიძლება ასრულებდეს. საგულისხმოა ისიც, რომ, მაგალითად, ჯანმრთელობის ორი ერთნაირი პრობლემის ან სამედიცინო დიაგნოზის მქონე ბავშვს, შესაძლოა განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები გააჩნდეს.²⁰ ამიტომ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას მხოლოდ მოსწავლის სამედიცინო დიაგნოზით ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით ხელმძღვანელობა წინააღმდეგობაშია თვითონ ინკლუზიური განათლების არსთან, რომლის თანახმად, გადამწყვეტია ბავშვის მხოლოდ სწავლასთან დაკავშირებული საჭიროებები და არა მისი დიაგნოზი და მითუმეტეს, ამ დიაგნოზზე დაფუძნებული სტერეოტიპული შეხედულებები.

როგორც უკვე აღინიშნა, ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დანარჩენ მოსწავლეებთან ერთად სასწავლო პროცესში მხოლოდ ფორმალურ მონაწილეობას. ამიტომ, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სწორად განსაზღვრას და მის საფუძველზე ინკლუზიური განათლების საუკეთესო ინდივიდუალური ფორმის შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია განათლების უფლებით თანასწორად სარგებლობის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიის, როგორც განათლების უფლებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფის მექანიზმის მიზანს არ წარმოადგენს მოსწავლეთა

²⁰ იქვე: გვ. 7

მექანიკური გათანაბრება. ამგვარი გათანაბრება ინკლუზიის და, მაშასადამე, განათლების სფეროში თანასწორობის პრინციპთან თავად მოვიდოდა წინააღმდეგობაში. ინკლუზიის არსის გაგებისათვის პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია „თანასწორობის“ განსხვავებას „გათანაბრებისგან“. ინკლუზიური განათლების პროცესის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია მოსწავლეთა სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად ინკლუზიური განათლების იდეასთან და მის არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. მისი იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ განათლების სფეროში თითოეული მოსწავლის თვითრეალიზაციისთვის ინდივიდუალური და, მაშასადამე, ყველასთვის ერთნაირად ეფექტური შესაძლებლობების გარანტირებას.²¹

აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მექანიკური გათანაბრება ასეთი საჭიროებების არმქონე მოსწავლეებთან არა მხოლოდ კონტრ-პროდუქტიული, არამედ, **დისკრიმინაციულია**. მხედველობაშია მისაღები, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, კანონით დაცული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან **თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს**.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა, მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გაუთვალისწინებლად თავად არის დისკრიმინაციული. ამიტომ მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების პერმანენტული და მაღალკვალიფიციური, პროფესიონალური შეფასების პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ინკლუზიური განათლების სწორად ორგანიზებისათვის. იმისათვის, რომ მოსწავლეებს გააჩნდეთ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზაციისათვის თანაბარი შესაძლებლობები, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ამ შესაძლებლობების გაანალიზება და მათი ადეკვატური შეფასება. ამრიგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის თანატოლებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო საერთო სისტემაში ჩართვა მხოლოდ ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროებების სათანადო შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასება და ანალიზი ინკლუზიური განათლების ორგანიზების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი და რთული პროცესია, რომელშიც პროფესიონალთა გუნდი მონაწილეობს. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით, მოსწავლის შეფასებასა და მისთვის

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება, II.3.1

განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევას ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტი–დისციპლინური გუნდი.

მულტი–დისციპლინური გუნდის შეფასება გულისხმობს კომპლექსური და სიღრმისეული ინფორმაციის მოძიებას სსსმ მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესახებ, აკადემიური, შემეცნებითი, ფსიქოემოციური, სოციალური, ქცევითი, კომუნიკაციური, მოტორული და ფუნქციური სფეროების მიხედვით. გარდა ამისა, მულტი–დისციპლინური გუნდის შეფასება მოიცავს ინფორმაციას მოსწავლის სამედიცინო, სოციალური და საგანმანათლებლო ისტორიისა და საგანმანათლებლო გარემოს რესურსებისა და ბარიერების შესახებ, ასევე **საგანმანათლებლო ფორმის, გარემოს შერჩევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით.**²²

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოთხოვილი საბუთებიდან ირკვევა, რომ განმცხადებლის შვილი, როგორც სსსმ მოსწავლე, სკოლაში განათლებას **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის** მიხედვით იღებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის** (შედგომში ისგ) შედგენა ნიშნავს სსსმ მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზნებისა და შედეგების იმგვარ ცვლილებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ფოკუსირებულია შედეგზე, სწავლების მრავალფეროვანი ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით.

ყოველი სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის ფარგლებში ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის **მოდულიზაცია** ან/და სასწავლო გარემოსთან **ადაპტაცია**. გეგმის **მოდულიზაცია** წარმოადგენს სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების იმგვარ ცვლილებებს, რომლებიც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების შემცირებას ან გაზრდას, გამარტივებას ან გართულებას.

სასწავლო გარემოსთან **ადაპტაცია** კი ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს ისეთ ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის ცვლილებას, თუმცა ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შეცვლას. სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია გამოიხატება სკოლისა და კლასის ფიზიკური გარემოს, საათობრივი ბადის, **დღის გრაფიკის**, აქტივობების ხანგრძლივობის, სასწავლო მასალის და სწავლების სტრატეგიის ცვლილებებში, აგრეთვე, ალტერნატიული შეფასებების გამოყენებაში და სხვა.

²² „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 22. ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

ამრიგად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ისევე, როგორც მონაცემებს ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ აკადემიური, შემეცნებითი, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების მიხედვით.

ეროვნული სასწავლო გეგმის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლამ უნდა განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისე ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისე-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს. მხედველობაშია მისაღები, რომ ეროვნული გეგმის იგივე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ისე ჯგუფში, მოსწავლის პედაგოგებთან ერთად, ასევე უნდა გაერთიანდნენ ბავშვის *მშობელი/მშობლები*, სკოლის ადმინისტრაციის წევრი/წევრები, ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი და ა.შ.

ეროვნული გეგმის 42-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულია ისე ჯგუფის კოორდინაციის ცნება და კოორდინატორის პოზიცია, რომელიც ჯგუფის წევრების მუშაობას წარმართავს და ჯგუფის საქმიანობაზე პასუხისმგებელი. უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, ამ ჯგუფს ხელმძღვანელობა *დამრიგებელმა* ან *სპეციალურმა მასწავლებელმა* გაუწიოს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შემდეგ, მნიშვნელოვანია ისე ჯგუფის წევრების პერმანენტული შეხვედრების ორგანიზება, რომლებზეც გეგმის შესრულების მიმდინარეობა და გეგმაში შესატანი ცვლილებები (თუკი ამის საჭიროება არსებობს) იქნება განხილული. ამასთან ერთად, გეგმის განხორციელების მონიტორინგის შედეგად, გეგმა შეიძლება პერიოდულ ცვლილებებსაც დაექვემდებაროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სსსმ მოსწავლის თითოეული საგნის მასწავლებელმა, ისე ჯგუფის კოორდინატორისთვის გადასაცემად, უნდა მოამზადოს სსსმ მოსწავლის მიღწევის ანგარიში, რომელიც, თავის მხრივ, პედაგოგიურ საბჭოს და *მშობელს* წარედგინება (ეროვნული სასწავლო გეგმის 42-ე მუხლის მე-14 პუნქტი).

ამრიგად, ინკლუზიური განათლების სათანადოდ უზრუნველყოფა საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, რომელშიც არაერთი ინსტიტუტი თუ პირია ჩართული.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლება პოზიტიურ შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა, როდესაც იგი სრულყოფილად ხორციელდება. არასრულყოფილი, ან არასაკმარისად სრულყოფილი ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი კონტრ-პროდუქტიული და ცუდი შედეგის მომტანია, მათ შორის, თანასწორობის უფლების თვალსაზრისითაც. იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც ეს პროცესი იმდენად ფორმალური და

შაბლონურია, რომ დაცლილია შინაარსისგან, მასში ჩართული ინსტიტუტებისა და პირების გულმოდგინების, ერთუზიანობის, ბავშვისა და საქმის მიმართ უანგარო სიყვარულისგან. თითოეული ამ კომპონენტის ნაკლებობა ბავშვისთვის არ რჩება შეუმჩნეველი და მასზე, ემოციური თვალსაზრისით, ნეგატიურად აისახება. ამ საქმისადმი სკოლის გულგრილი დამოკიდებულება ვნებს ბავშვს და მას ემოციურ ტრავმას აყენებს.

მხედველობაშია მისაღები, რომ ბავშვი სკოლაში ოჯახიდან ხვდება, ოჯახი კი, იდეალურ შემთხვევაში, ის გარემოა, სადაც ბავშვი ჩასახვის დღიდან ვითარდება, იზრდება, სადაც მას მოუთმენლად ელიან, მასზე ზრუნავენ, აფასებენ, აღიარებენ, პატივს სცემენ, მის გრძნობებს და რეაქციებს გაგებით ეკიდებიან. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მოსწავლეებს იგივე განცდა გაუჩინოს, ისინი სკოლაში თავს დაფასებულად უნდა გრძნობდნენ, ბავშვები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ უსმენენ და პატივს სცემენ, სასწავლო გარემო მათთვის უნდა იყოს უსაფრთხო და პოზიტიური.²³ აუცილებელია, განსაკუთრებით ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, მოსწავლეს გაუჩნდეს განცდა, რომ სკოლა და ოჯახი ერთიანი სივრცეა, რაშიც მას, თავის მხრივ, სასწავლო პროცესში მშობლის აქტიური ჩართულობაც უნდა დაეხმაროს.²⁴

სკოლის გარემო უნდა იყოს თავისუფალი და ბავშვებისადმი გამგები სულისკვეთებით გამსჭვალული, მშვიდი, ტოლერანტული, თანასწორობაზე დამყარებული და მეგობრული განსხვავებული ჯგუფების მიმართ.²⁵ აშკარა და/ან ფარული დისკრიმინაცია შეურაცხყოფს ბავშვის ღირსებას და აქვეითებს ან საერთოდ ანგრევს მის თვითშეფასებას, სწავლის სურვილს.²⁶ ამგვარი გარემოს უზრუნველსაყოფად კი, მნიშვნელოვანია სკოლასა და ბავშვის ოჯახს (მშობელს/მშობლებს) შორის სათანადო თანამშრომლობა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ მშობელია ის პირველწყარო, რომლისგანაც მასწავლებელი იღებს ბავშვის განსაკუთრებული ინტერესებისა და შესაძლებლობების თაობაზე ამომწურავ ინფორმაციას. მშობელთა მონაწილეობა ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესში საშუალებას იძლევა სასკოლო სწავლება იმდენად გაფართოვდეს, რომ ბავშვის მიერ შინ გამოვლენილ ინტერესებს და სურვილებს მიესადაგოს. ამიტომ, ინკლუზიური განათლება ბავშვის ოჯახსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს.²⁷

გასათვალისწინებელია, რომ ბავშვთა აღზრდა არ უკავშირდება მხოლოდ ფორმალურ განათლებას და იგი უფრო კომპლექსური მოვლენაა, რომელშიც ურთიერთ-შემავსებელ

²³ Draft General Comment Number 4, Article 24 The Right To Inclusive Education. ხელმისაწვდომია: <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRPD/Pages/GCRightEducation.aspx>

²⁴ „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 44. ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

²⁵ Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 19

²⁶ Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 10

²⁷ „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 37. ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

ფუნქციებს ოჯახი, სკოლა და საზოგადოება ასრულებენ. ეს ის ძირითადი სოციალური სფეროებია, რომლებშიც ბავშვი იზრდება და ვითარდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის მათი ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა.²⁸

ამგვარი თანამშრომლობა ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ბავშვის, როგორც ამ ურთიერთობის *ცენტრალური ფიგურის* საჭიროებებს შეესაბამება. აქედან გამომდინარე, ამ თანამშრომლობაში მონაწილე სოციალურ ინსტიტუტებს გააჩნიათ ბავშვის ინტერესებით განპირობებული უფლება-ვალდებულებები. ამ ინსტიტუტებისა და მათი წარმომადგენლების ურთიერთშეთანხმებული მუშაობა კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ისეთი *სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის* აღზრდას ეხება, რომელსაც აუტიზმის დიაგნოზი გააჩნია.

გასათვალისწინებელია, რომ სწავლების სპეციალურ პროგრამებს, რომლებშიც სკოლა და ოჯახი თანაბრად მონაწილეობს, საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობა გააჩნიათ აუტიზმის მქონე ბავშვების აღზრდისა და განვითარებისათვის. სწორედ მათი მეშვეობით ხდება ამ კატეგორიის მოსწავლეების ურთიერთობის, სოციალური, სწავლის, ქცევის და ყოველდღიური ცხოვრების ჩვევების გაჩენა და გაუმჯობესება. აუტიზმის მქონე მოსწავლეების ქცევის ან ურთიერთობის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიან სწავლას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოითხოვენ *მცოდნე პროფესიონალის ჩარევას და სახლში თუ სკოლაში განსახორციელებელი აქტივობების სპეციალური გეგმის შემუშავებას, რომლის ზედმიწევნით დაცვაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია*. ამგვარი დიაგნოზის მქონე მოსწავლეთათვის მათი აღზრდის და სწავლების განსაკუთრებული მეთოდების გამოყენება, რომლებიც ცალკეული ბავშვებისათვის *ინდივიდუალურად* მუშავდება, ხელს უწყობს მათთვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.²⁹ ამიტომ სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა ინკლუზიური განათლების სფეროში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის *მშობლები აქტიურ და პრივილეგირებულ პარტნიორებად* უნდა მოიაზრონ.

როგორც სალამანკას დეკლარაციაში³⁰ აღნიშნული, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება წარმოადგენს ბავშვის მშობლების და შესაბამისი დარგის სპეციალისტთა საზიარო ამოცანას. ამ ამოცანის განხორციელებაში სახელმწიფო და

²⁸ იქვე: გვ. 5

²⁹ <http://archive.webmix.ge/icc/autizm.html>

³⁰ სალამანკას დეკლარაცია. პპ. 58–62. დეკლარაცია ინკლუზიური განათლების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებასთან დაკავშირებული კონფერენციის ფარგლებში, 1994 წლის 7–10 ივნისს, ესპანეთში, ქალაქ სალამანკაში. დეკლარაცია თავდაპირველად გამოიცა 1994 წელს, საბოლოო ანგარიში გამოიცა 1995 წელს. სალამანკას დეკლარაციაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი ძირითადი უფლებები და ცნებები: ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს ინკლუზიურ კლასში; ყველა ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში, რათა მოხდეს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება; ინკლუზიური განათლების განხორციელება სათანადო პირობებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ ბავშვებს; ინკლუზიური განათლება განაპირობებს ინკლუზიური საზოგადოების წარმოშობასა და ეფექტურობას.

სკოლა უნდა დაეხმაროს სსსმ მოსწავლეთა მშობლებს, რათა მათ სათანადოდ გააცნობიერონ საკუთარი როლი.

სახელმწიფომ უნდა განავითაროს ერთობლივი და ურთიერთ შემავსებელი პარტნიორული ურთიერთობები სკოლის ადმინისტრაციას, პედაგოგებსა და მშობლებს შორის. მშობლები განხილული უნდა იქნენ, როგორც სკოლის აქტიური პარტნიორები. სალამანკას დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მშობლებს, რომ მათ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკუთარი შვილების საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და პროცესში, როგორც სახლში, ისე სკოლის ფარგლებში (სადაც ისინი შეძლებენ გაეცნონ ინკლუზიური განათლების უახლეს მეთოდებს და ა.შ.).³¹

დეკლარაცია თითოეულ სახელმწიფოს წამყვან როლს აკისრებს სკოლასა და მშობლებს შორის ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობის თვალსაზრისით, რისთვისაც, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, როგორც *ინკლუზიური განათლების პოლიტიკის არსის მშობლებამდე სათანადოდ მიტანა, ისე მშობელთა უფლებების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების მიღება.*

ამასთან ერთად, სკოლის ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ მშობლები, რომელთა შვილებსაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გააჩნიათ, რაც, თავის მხრივ, უმეტესწილად ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობით არის განპირობებული, ხშირად, განსაკუთრებით მგრძნობიარედ რეაგირებენ მათი შვილების განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც სრულიად ლეგიტიმურია. სკოლას უნდა შესწევდეს უნარი გაითვალისწინოს ამ მშობელთა მდგომარეობა, იგი მათ მიმართ სოლიდარული უნდა იყოს. ამიტომ, სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს ძალიან რთული ფუნქცია აკისრიათ, რომ მათი დამოკიდებულება, თითოეული დაგეგმილი ნაბიჯი, კარგად გააზრებული იყოს, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მშობელთან ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ისეთი თანამშრომლობა, რომელიც ბავშვის ინტერესებს ემსახურება. ამ თვალსაზრისით, თავისი წილი მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობისა სახელმწიფოს და, კერძოდ, მულტი-დისციპლინურ გუნდს ეკისრება, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაც სკოლასა და სსსმ ბავშვის მშობელს შორის შუამავლობა უნდა იყოს.

ამრიგად, სკოლის წარმომადგენლებს უნდა ესმოდეთ, რომ მშობლებს განსხვავებული მოთხოვნილებები აქვთ. სკოლის ადმინისტრაციამ და მასწავლებლებმა უნდა გამოავლინონ ადაპტაციისა და სათანადო დამოკიდებულების უნარი მშობელთან თანამშრომლობის პროცესში, მათ ასევე უნდა შეეძლოთ განსაზღვრა, თუ რა შედეგებს შეიძლება მოელოდნენ ამ ურთიერთობიდან. აუცილებელია, რომ მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა

³¹ იქვე. პ. 61

შესაძლებლობების და ინტერესების მქონე მშობლებთან ურთიერთობის განვითარების სურვილი და უნარი.³²

3.4. სადავო საკითხის სამართლებრივი შეფასება

როგორც სახალხო დამცველის ოფისში შემოსული განცხადების შინაარსიდან ირკვევა, მ.კ. სადავოდ ხდის სკოლის დირექტორის ზეპირ მითითებას, რომლის თანახმად, თუ ბავშვი პირველ გაკვეთილზე დააგვიანებს ისე, რომ გაკვეთილის დასრულებამდე დარჩენილი იქნება მცირე დრო, მაშინ, სპეციალურმა მასწავლებელმა ბავშვი მხოლოდ მომდევნო გაკვეთილზე უნდა შეიყვანოს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ გაკვეთილის ბოლო წუთებში ბავშვის დაშვება–არდაშვების მიზანშეწონილობის შემოწმება, განსახილველ საკითხს იმდენად დაავიწროებს, რომ დააკნინებს რეალურად არსებული პრობლემის მნიშვნელობას. ამიტომ, იმისთვის, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილად გაანალიზდეს განსახილველი შემთხვევა და საკითხი ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდეს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, მოხდეს პრობლემის ზუსტი იდენტიფიცირება და მხოლოდ ამის შემდეგ შემუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ამასთან ერთად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მის კომპეტენციას აღემატება იმის გარკვევა, თუ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორ უნდა სარგებლობდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ინკლუზიური განათლების ფარგლებში შედგენილი ინდივიდუალური საგაკვეთილო განრიგით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრა და მისთვის განათლების საუკეთესო და ინდივიდუალური ფორმის შერჩევა, მათ შორის, ინდივიდუალური საგაკვეთილო განრიგის შემუშავება და მის დაცვაზე ზედამხედველობა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტი-დისციპლინურმა გუნდმა და სკოლამ, ***მხოლოდ მოსწავლის მშობელთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე უნდა განახორციელოს.***

სახალხო დამცველის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სათანადოდ ვერ სარგებლობს საგაკვეთილო გრაფიკით, რასაც სკოლაში დაგვიანების არაერთი შემთხვევაც მოწმობს და რაც მას, განათლების მიღების უფლებით ეფექტურად სარგებლობის თვალსაზრისით, სხვა მოსწავლეებთან შედარებით, უარეს მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ სკოლის დირექტორის სადავო მითითების მიზანშეწონილობა და მართლზომიერება სწორედ აღნიშნული პრობლემის კონტექსტში უნდა იქნეს გაანალიზებული.

³² „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 45. ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

ამასთან, ვთვლით, რომ მოცემული დავის ფარგლებში, არ იქნებოდა მართებული მხოლოდ სკოლის დირექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება, ინკლუზიური განათლების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის ეფექტურობის შეფასების გარეშე.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ვინაიდან 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის სადავო მითითება შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს, შესაბამისად, ამ მითითების მიზანშეწონილობა და მართლზომიერება სწორედ ინკლუზიური განათლების განხორციელების პრინციპებთან მისი თავსებადობის კუთხით უნდა შეფასდეს.

ასევე მიგვაჩნია, რომ მოცემული შემთხვევის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება 2016 წლის 22 აპრილის ინციდენტს უნდა დაეთმოს და იგი სათანადოდ უნდა გაანალიზდეს.

როგორც განსახილველი განცხადების შინაარსიდან ირკვევა, განმცხადებელი იძულებულია მისი აუტისტური სპექტრის მქონე შვილი, მათი საცხოვრებელი ადგილიდან საკმაოდ შორს მდებარე სკოლაში ატაროს, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია ამ სკოლის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ბავშვთა განვითარების კლინიკასთან სიახლოვით, სადაც განმცხადებლის შვილი ე.წ. „ABA“ თერაპიას გადის.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლისა და მისი შვილის ასეთი მდგომარეობა განპირობებულია ინკლუზიური განათლების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მომსახურების სპეციალური ცენტრების ტერიტორიული თვალსაზრისით არასათანადო ხელმისაწვდომობით. აღნიშნული კი, თავის მხრივ, დადებითად არ აისახება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის სათანადოდ იმპლემენტაციაზე, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს მიღების უფლებას.

განსახილველი საკითხის შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბარ პირობებში მყოფთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა ან პირობების შექმნა და, პირიქით, არათანაბარ პირობებში მყოფ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობა ან პირობების შექმნა არ მიიჩნევა დისკრიმინაციად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შესაბამისი ლეგიტიმური მიზანი და თანაბარი თუ არათანაბარი მოპყრობა და პირობების შექმნა ამ მიზნის პროპორციულია, მაშასადამე, იგი ობიექტურად და გონივრულად გამართლებულია.

შესაბამისად, მიხეილ გრუშევსკის სახელობის თბილისის 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის მითითებაც ზემოაღნიშნული მიდგომით უნდა შეფასდეს. ამისთვის კი, მნიშვნელოვანია

დირექტორის სადავო გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნების და ლეგიტიმური მიზნის განსაზღვრა და მისი, როგორც ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევის სათანადო საშუალების პროპორციულობის შემოწმება.

ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის მიერ სახალხო დამცველის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის მიცემული განმარტებები, რომლებშიც სადავო გადაწყვეტილების მიღების მოტივია გადმოცემული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის მიერ 2016 წლის 28 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გამოთხოვილ იქნა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ სსიპ – მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქ. თბილისის 41-ე საჯარო სკოლის შესახებ შედგენილი დასკვნა და საქმის მასალები. სამინისტროდან გამოგზავნილი მასალების ფარგლებში სახალხო დამცველისათვის ხელმისაწვდომი გახდა, მათ შორის, 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის შიდა აუდიტის დეპარტამენტისთვის 2016 წლის 11 აპრილს მიცემული ახსნა-განმარტება.

დასახელებულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ მშობელი მ. კ. ხშირად აგვიანებს მოსწავლის სკოლაში მიყვანას, რის გამოც მოსწავლეს პირველ გაკვეთილზე დაგვიანებით უწევს შესვლა, რაც, დირექტორის განმარტებით, აფერხებს საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობას, ვინაიდან ბავშვის სასწავლო პროცესში ჩაბმას გარკვეული დრო სჭირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორმა სპეციალური მასწავლებელი გააფრთხილა, რომ თუ დაგვიანების შემთხვევაში პირველი გაკვეთილის დასრულებამდე დარჩენილი იქნებოდა მცირე დრო – „...3-4 წუთი...“, მაშინ მას მოსწავლე რესურსს ოთახში უნდა აეყვანა და მომდევნო გაკვეთილისთვის იქ მოემზადებინა.

გასათვალისწინებელია, რომ სახალხო დამცველის ოფისისათვის 2016 წლის 22 აპრილს გამოგზავნილ წერილში, დირექტორი დაგვიანების გამო გაკვეთილის შეფერხების თაობაზე უკვე აღარ საუბრობს. ამასთან, იმავე წერილში აღნიშნულია, რომ სკოლაში დაგვიანების შემთხვევებზე რაიმე განსაკუთრებული რეგულაცია სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული არ არის, ვინაიდან, დირექტორის განცხადებით, ამის საჭიროება არ არსებობს და ყველა მოსწავლე, დაგვიანების მიუხედავად, კლასში უპრობლემოდ შედის.

განსხვავებულ ინფორმაციას შეიცავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის 2016 წლის 11 აპრილს დირექტორის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება. როგორც განმარტების მე-2 გვერდის მე-4 აბზაციდან ირკვევა, დაგვიანების შემთხვევაში, გაკვეთილის ბოლო წუთებზე არ დაშვების წესი ყველა მოსწავლეზე ვრცელდება. თუმცა, მიუხედავად ამისა, იგივე აბზაცში ასევე აღნიშნული, რომ შინაგანაწესით რაიმე სპეციალური რეგულაცია არ არსებობს და, რომ „[...] ყველა მოსწავლე დაგვიანების მიუხედავად შედის კლასში [...]“. ამდენად, დირექტორის ზემოაღნიშნული, ერთმანეთისაგან განსხვავებული განმარტებებიდან რთულია რაიმე ერთმნიშვნელოვანი

დასკვნის გაკეთება, რომელიც ცალსახად გაცემდა პასუხს, როგორც ამ სადავო მითითების სამართლებრივ ბუნებასთან, ისე, მის შინაარსთან დაკავშირებულ კითხვებს.

41-ე საჯარო სკოლის დირექტორის განმარტებიდან გამომდინარე, მისი გადაწყვეტილების მოტივი, სავარაუდოდ, გაკვეთილის შეფერხების თავიდან აცილება უნდა იყოს, რის გამოც, დაგვიანების შემთხვევაში, მოსწავლე გაკვეთილზე არ უნდა იქნეს დაშვებული. ამდენად, სადავო მითითების მიზანს, სკოლის დირექტორის განცხადებით, საგაკვეთილო პროცესის შეფერხების თავიდან აცილება უნდა წარმოადგენდეს, რისთვისაც ქცევის განსახილველი წესია შემოთავაზებული. შესაბამისად, სადავო მითითება არის სკოლის დირექტორის მიერ დადგენილი ქცევის წესი, რომელიც სკოლაში დაგვიანებით მისულ მოსწავლეზე ერთგვარი შემზღვეველი ზემოქმედების ფორმით ხორციელდება და ამიტომ, იგი როგორც სასკოლო **დისციპლინური მოთხოვნის შინაარსის მქონე წესი უნდა შეფასდეს.**

მართალია შესაბამისი კანონმდებლობა სასკოლო დისციპლინის ცნების დამოუკიდებელ განმარტებას არ შეიცავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი დისციპლინის დარღვევად, ანუ გადაცდომად – მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევას მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი დისციპლინური მოთხოვნა შესაბამისი სკოლის შინაგანაწესით უნდა განისაზღვროს და დადგინდეს.

იგივეს მიუთითებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შინაარსი, რომლის თანახმად, სასკოლო დისციპლინის დაცვის მოთხოვნები და მეთოდები განისაზღვრება შესაბამისი სკოლის შინაგანაწესით. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სკოლის შინაგანაწესით დადგენილი **დისციპლინის** დაცვის **მოთხოვნები**, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს **გონივრული, დასაბუთებული** და **თანაზომადი.**

მართალია, დაგვიანების შემთხვევაში გაკვეთილზე არ დაშვების გადაწყვეტილების ძირითად მოტივად, დირექტორი საგაკვეთილო პროცესის შეფერხების თავიდან აცილებას ასახელებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს გარემოება არ ცვლის ამ მითითების, როგორც დისციპლინური მოთხოვნის შინაარსს. შესაბამისად, 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის სადავო მითითება, როგორც დისციპლინური შინაარსის მქონე წესი უნდა შეფასდეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის თვალსაზრისით. კერძოდ, თუ რის საფუძველზეა დადგენილი სადავო წესი და რამდენად გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადია იგი.

მხედველობაშია მისაღები, რომ თავად გაკვეთილზე დაგვიანება, სკოლის შინაგანაწესის 32-ე მუხლის თანახმად, მოსწავლის დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს, რისთვისაც, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შესაბამისი დისციპლინური სახდელი. თუმცა შინაგანაწესი არ აკონკრეტებს თუ რა სახის სახდელი ან ზემოქმედების სხვა ღონისძიება

შეიძლება იქნეს გამოყენებული დაგვიანებისათვის, ასევე ვინაა დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილი პირი. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი დებულებები და არც 41-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესი არ შეიცავს სადავო მითითების შინაარსის მსგავს დისციპლინურ მოთხოვნას. ამასვე ადასტურებს 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის მიერ, როგორც სახალხო დამცველისათვის ისე სამინისტროსთვის მიცემული განმარტებები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ სკოლის შინაგანაწესი სკოლაში დაგვიანებასთან დაკავშირებით რაიმე განსაკუთრებულ რეგულაციას არ შეიცავს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლის დირექტორის სადავო მითითებით დადგენილ დისციპლინურ წესს არ გააჩნია არც კანონმდებლობით და არც შინაგანაწესით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, როგორც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტშია აღნიშნული, დისციპლინის დაცვის მოთხოვნები უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, გაირკვეს სადავო მითითებით დადგენილი წესის უშუალო ადრესატი. როგორც უკვე აღინიშნა, 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის მიერ სახალხო დამცველის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისათვის მიცემული განმარტებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ცალსახად გაირკვეს, დირექტორის მითითება შეეხება მხოლოდ განმცხადებლის შვილს, თუ იგი ყველა მოსწავლისთვის დადგენილი ზოგადი წესია. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მითითება შეეხება მხოლოდ განმცხადებლის შვილს თუ ყველა მოსწავლეს, ბუნდოვანია, რის საფუძველზე ასკვნის დირექტორი, რომ პირველ გაკვეთილზე მოსწავლის დაგვიანებით შესვლა, როდესაც გაკვეთილის დასრულებამდე მცირე დროა დარჩენილი, აუცილებლად გამოიწვევს გაკვეთილის შეფერხებას. მხედველობაშია მისაღები, რომ გაკვეთილის დროს წესრიგზე პასუხისმგებელია შესაბამისი საგნის მასწავლებელი და სწორედ ის და არა დირექტორი განსაზღვრავს გაკვეთილის დროს როგორც მოსწავლეთა ქცევის მართვის სტრატეგიას, ისე დისციპლინური გადაცდომებისათვის შესაბამისი სახდელის თუ ზემოქმედების ან შეზღუდვის სხვა ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტიც, რომლის შესაბამისად, მაგალითად, მოსწავლის გაკვეთილიდან გაძევების გადაწყვეტილების მიღების უფლება სწორედ შესაბამის მასწავლებელს აქვს, ვინაიდან მხოლოდ მასწავლებელი განსაზღვრავს, თუ რა აფერხებს გაკვეთილს და რა ზომები უნდა იქნეს გამოყენებული ამგვარი შეფერხების თავიდან ასაცილებლად.

იმ შემთხვევაში, თუ სადავო მითითება შეეხება მხოლოდ განმცხადებლის შვილს და ეფუძნება მხოლოდ მის დიაგნოზს – და დირექტორი ვარაუდობს, რომ ვინაიდან ბავშვს გააჩნია აუტიზმი, იგი კლასში დაგვიანებით შესვლისას, აუცილებლად გამოიწვევს

გაკვეთილის შეფერხებას – ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება ინკლუზიური განათლების უმთავრეს პრინციპს, რომლის თანახმად, ინკლუზიური განათლების ორგანიზებისას გადაწყვეტია არა მოსწავლის დიაგნოზი, არამედ, მისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, მათ შორის, ბავშვის გაკვეთილში მონაწილეობასთან დაკავშირებული თავისებურებები. მნიშვნელოვანია, რომ აუტიზმის მქონე ბავშვის გაკვეთილზე ქცევის მართვის სტრატეგია ეფუძნებოდეს არა მხოლოდ დიაგნოზს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მის ქცევით თავისებურებებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა საქმის მასალების დეტალური ანალიზის და შესაბამისი მოწმეების გამოკითხვის საფუძველზე, ვერ მოიკვლია განმცხადებლის შვილის მიერ გაკვეთილის მნიშვნელოვანი შეფერხების დამადასტურებელი ვერც ერთი შემთხვევა. უფრო მეტიც, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ბავშვის ე.წ. რესურსს ოთახში აყვანა პრობლემურია იმ მხრივ, რომ იგი მისთვის სასწავლო დღის დასრულებასთან და მშობლის მიერ სახლში წაყვანასთან ასოცირდება, რის გამოც, კვლავ საკლასო ოთახში დაბრუნება მის გაღიზიანებას იწვევს. ბავშვს ასევე უჭირს ლოდინი, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა გამოიწვიოს ტანტრუმი და მისი აკადემიური პროდუქტიულობის დაქვეითება მთელი მომდევნო დღის მანძილზე.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მოსწავლის გაკვეთილზე არშეშვებასთან დაკავშირებული ამ პრობლემების შესახებ, რომლებიც აუტისტური სპექტრითაა გამოწვეული, ცნობილი უნდა ყოფილიყო სკოლის ადმინისტრაციისთვის, ვინაიდან ამის ვალდებულება პირდაპირ გამომდინარეობს ინკლუზიური განათლების პრინციპიდან. ამიტომ, სახალხო დამცველი სამწუხაროდ და ეფექტური ინკლუზიური განათლების პრინციპების თვალსაზრისით მიუღებლად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ სკოლის ადმინისტრაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 7 წლის მოსწავლის სისტემატურ დაგვიანებაში, მხოლოდ გაკვეთილის შეფერხების პრობლემა დაინახა.

სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავს, რომ განმცხადებლის შვილი სკოლაში სპეციალური მასწავლებლის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და ზუსტად მან, შესაბამისი საგნის მასწავლებელთან ერთად და არა სკოლის დირექტორმა ერთპიროვნულად, უნდა გადაწყვიტოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, რა არის გაკვეთილის შეუფერხებლად ჩატარებისათვის მიზანშეწონილი. გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური მასწავლებლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას სწორედ ბავშვის ქცევის კორექცია წარმოადგენს.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც თავად დირექტორი როგორც მასწავლებელი არ მონაწილეობს შესაბამის საგაკვეთილო პროცესში, შეუძლებელია მას ჰქონდეს *გონივრული* და *დასაბუთებული* მოლოდინი იმისა, რომ ბავშვი თავისი ქცევით აუცილებლად შეაფერხებს გაკვეთილის მიმდინარეობას. ამიტომ, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის სადავო

მითითებით დადგენილი წესი, ვერ ჩაითვლება ვერც გონივრულად და ვერც დასაბუთებულად „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მიზნებისათვის. ამდენად, იგი როგორც ფორმით ისე შინაარსით ეწინააღმდეგება “ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით და 41-ე საჯარო სკოლის შინაგანაწესით დისციპლინური მოთხოვნებისათვის დადგენილ პირობებს და ინკლუზიური განათლების პრინციპებს.

მხედველობაშია მისაღები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ, სხვა მოსწავლეებისაგან განსხვავებით, განმცხადებელი შვილის სკოლაში მიყვანას აგვიანებს, უმეტესწილად, ობიექტური მიზეზით, რაც ცნობილია სკოლის ადმინისტრაციისთვის. სხვა, ასეთი სპეციფიური პრობლემის არმქონე მოსწავლის შემთხვევაში დირექტორის ამგვარ გადაწყვეტილებას, შესაძლოა ერთჯერადი შედეგი ჰქონოდა და ნაკლებ მტკივნეული ყოფილიყო, იმ დროს, როდესაც სადავო მითითებით დადგენილი შეზღუდვა განმცხადებლისთვის ფაქტობრივად დაუძლეველ შეზღუდვას წარმოადგენს. ნაცვლად იმისა, რომ სკოლამ მხედველობაში მიიღოს ბავშვის დაგვიანების რეალური მიზეზი და მშობელთან ერთად პრობლემის გადაჭრის გზების გამონახვაზე იმუშაოს, ადმინისტრაცია ერთპიროვნულად, დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას იღებს, რომელიც მიმართული არ არის რეალური პრობლემის გადასაჭრელად, ამასთან ერთად, იგი მიღებულია მშობელთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციისა და კომუნიკაციის გარეშე.

როგორც 41-ე საჯარო სკოლის დირექტორი მის მიერ დაწერილ განმარტებაში აღნიშნავს, მ.კ., მიუხედავად დირექტორის არაერთგზისი მცდელობისა (28 მარტიდან დღემდე) უარს აცხადებს ნებისმიერი სახის კომუნიკაციაზე. სახალხო დამცველი წუხილს გამოთქვამს, რომ განმცხადებელთან კომუნიკაციის საჭიროება სკოლის ადმინისტრაციამ მხოლოდ 28 მარტის ინციდენტის შემდეგ დაინახა და არა მაშინ, როდესაც ბავშვთან დაკავშირებულ სადავო გადაწყვეტილებას იღებდა.

როგორც სკოლის დირექტორის მიერ სახალხო დამცველის და სამინისტროსადმი გაგზავნილი განმარტებებიდან ირკვევა, სკოლის ადმინისტრაციასა და განმცხადებელს შორის ერთგვარი კონფრონტაცია თითქმის უკვე ერთი წელია გრძელდება, რაც, ჩვენი აზრით, შესაძლოა გამხდარიყო კიდევაც სადავო მითითების ასეთი ფორმით მიღების რეალური და ფარული მიზეზი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი, სკოლის ადმინისტრაცია ვალდებული იყო გადაწყვეტილება მხოლოდ მშობელთან და ისე ჯგუფთან კონსულტაციის საფუძველზე მიეღო. უკიდურეს შემთხვევაში კი, სკოლის ადმინისტრაციას შეეძლო მშობელთან სავარაუდო კონფლიქტის გადასაწყვეტად შუამავლობისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტი-დისციპლინური გუნდისთვის მიემართა და შექმნილი ვითარებიდან მათი ჩართულობით მოექცნა გამოსავალი.

სახალხო დამცველის მოსაზრებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 2016 წლის 11 აპრილის ახსნა-განმარტების ბოლო აბზაცი, რომელშიც საუბარია, რამდენიმე მშობლის, მათ შორის, განმცხადებლის ინტერესზე, „...რომ ცრუ ბრალდებებით მსოფლიოს წინაშე მუქ ფერებში წარმოაჩინოს სკოლა, სამინისტრო და *მთლიანად ქართული სახელმწიფო...*“ და რომელიც, დირექტორის განცხადებით, „...არასოდეს არ იქნება მხარდაჭერილი სკოლის ადმინისტრაციის, *პედაგოგიური კოლექტივისა და მშობელთა* მიერ [...]“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სახალხო დამცველს აბსოლუტურად მიუღებლად მიაჩნია სკოლის ადმინისტრაციის მსგავსი შინაარსის განცხადება. განსაკუთრებით მიუღებელია სკოლის დირექტორის მცდელობა კონფლიქტის მხარედ წარმოაჩინოს პედაგოგები და სხვა მოსწავლეთა მშობლები. სახალხო დამცველი 2016 წლის 22 აპრილის ინციდენტს, რომელშიც განმცხადებლის შვილის თანაკლასელთა მშობლები მონაწილეობდნენ, სკოლის დირექტორის, მათ შორის, სწორედ ზემოაღნიშნული განცხადების კონტექსტში განიხილავს და სრულიად მიუღებლად მიიჩნევს. სახალხო დამცველი თვლის, რომ ამ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა ბრალის მუხედვად, სკოლის ადმინისტრაციის მიერ განმცხადებელთან ურთიერთობის ამგვარი ფორმა და აშკარა კონფრონტაცია ეწინააღმდეგება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და არ ემსახურება ბავშვის ზოგადი განათლების მიღების კონსტიტუციური უფლების ეფექტურ განხორციელებას.

როგორ უკვე აღინიშნა, განსახილველ საქმეში ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ განმცხადებლის შვილი სათანადოდ ვერ სარგებლობს ინკლუზიური განათლების ფარგლებში შედგენილი საგაკვეთილო განრიგით (ცხრილით), რაც მას სხვა მოსწავლეებთან შედარებით, განათლების უფლებით სარგებლობის თვალსაზრისით, უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად, სახალხო დამცველი 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის სადავო მითითებით დადგენილ წესს სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის კუთხით განიხილავს და აფასებს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საჯარო სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება და მოქმედებები ძირითადი პრობლემის არაადეკვატურია, ვინაიდან ისინი არ არის მიმართული განმცხადებლის შვილის მიერ ინკლუზიური განათლებით და საგაკვეთილო გრაფიკით ეფექტურად სარგებლობის გაადვილებისაკენ. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებლის მიმართ სკოლის ადმინისტრაცია იმდენად არაკეთილგანწყობილია, რომ სკოლაში შექმნილი ეს პირობები, რეალურად ქმნის განმცხადებლის შვილის ინკლუზიური განათლებით სარგებლობისათვის ხელშემშლის საფრთხეს და უარყოფითად ზემოქმედებს მისი განათლების უფლების რეალიზაციაზე.

3.5. ინკლუზიური განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველმა საქმემ გამოავლინა ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში არსებული არაერთი

პრობლემა, რომელიც უარყოფითად ზემოქმედებს შშმ ბავშვების ზოგადი განათლებით ეფექტურ სარგებლობაზე. პრობლემებზე საუბრისას შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მიმართულებები: ინკლუზიური განათლების სფეროს მომწესრიგებელი არასრულყოფილი კანონმდებლობა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტი-დისციპლინური გუნდის საქმიანობის არასათანადო ეფექტურობა; ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების არასათანადო განსაზღვრა; ინკლუზიურ განათლებაში მშობლის როლის საკანონმდებლო დონეზე უფრო დეტალური მოწესრიგების საჭიროება; ინკლუზიური განათლების სფეროში სკოლის პერსონალის და მშობლების (მათ შორის იმ მშობლების, რომელთა შვილებიც არ არიან სსსმ მოსწავლეები) ცნობიერების ამაღლების საჭიროება.

როგორც უკვე აღინიშნა, განმცხადებელმა მ.კ-მ სახალხო დამცველისადმი გაგზავნილი განცხადების ანალოგიური შინაარსის განცხადებით ასევე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, სადაც მოითხოვა სამინისტროს შეესწავლა სკოლის ადმინისტრაციის მოქმედება მის შვილთან მიმართებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეისწავლა მ.კ.-ს განცხადება და 2016 წლის 6 მაისის დასკვნით, განცხადებაში აღნიშნული საკითხები არ მიიჩნია დადასტურებულად. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამინისტროს დასკვნაში არაფერია ნათქვამი და, შესაბამისად, არ არის შეფასებული არც სკოლის დირექტორის ერთპიროვნულად მიღებული სადავო მითითება და არც ის გარემოება, რომ ბავშვი სკოლაში, ხშირად, დაგვიანებით ცხადდება, რის გამოც, იგი ვერ ახერხებს პირველი გაკვეთილის მიმდინარეობაში სრულყოფილ მონაწილეობას. ნაცვლად ამ პრობლემური საკითხების შეფასებისა და ბავშვისთვის უფრო მოქნილი ინდივიდუალური საგაკვეთილო განრიგის შემუშავებისათვის ხელშეწყობისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შემოიფარგლა, მხოლოდ სკოლის დირექტორის მხრიდან მ.კ.-სადმი უხეშად მიმართვის ფაქტის არსებობის გარკვევით, რაც, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს რეალურად არსებული პრობლემის ადეკვატურ გადაწყვეტას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი საქმის კურსში იყო, რომ სკოლის ადმინისტრაციასა და კონკრეტულ მშობლებს შორის იყო კონფლიქტი, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამინისტრომ არ შეისწავლა ეს საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეთა ურთიერთობის, განსაკუთრებით, კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტა და, მათ შორის, სკოლასა და სსსმ მოსწავლეთა მშობლებს შორის შუამავლობის ფუნქცია სამინისტროს მულტი-დისციპლინურ გუნდს ეკისრებოდა, რაც, სამწუხაროდ, მოცემულ შემთხვევაში, არ განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინკლუზიური განათლების მულტი-დისციპლინური გუნდი ერთ-ერთი ცენტრალური რგოლია ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესში,

რომლის ფუნქციას საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა წარმოადგენს. ამასთან, მულტი-დისციპლინური გუნდი უნდა ახორციელებდეს სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგების და მშობლების კონსულტირებას, სსსმ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით.

ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარე, მულტი-დისციპლინური გუნდი ან მისი წევრი მუდმივ კომუნიკაციაში უნდა იყოს სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან, მათთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, სსსმ მოსწავლის უფლებების გაცნობის მიზნით.³³

საუკეთესო შემთხვევაში, მულტი-დისციპლინური გუნდი ან მისი წევრი ახდენს რეკომენდაციების მიცემას სკოლის დამატებითი რესურსისათვის (სკოლის ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი და ა.შ.). გუნდი სკოლებს რეკომენდაციას უწევს ასევე სკოლაში ჩარიცხული სსსმ მოსწავლის შეფასებასთან, მათთვის აკადემიური, კოგნიტური, სამეტყველო, სოციალური უნარების განმავითარებელი ინდივიდუალური გეგმების შემუშავებასთან, რესურსს ოთახებში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვასთან დაკავშირებით და ა.შ.³⁴

გუნდი და მისი წევრები პედაგოგებს უნდა უწევდნენ კონსულტაციებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მათი პრაქტიკაში ეფექტური განხორციელების და გაკვეთილების დაგეგმვის პროცესში. ამდენად, გუნდის წევრს ევალება სკოლების პრაქტიკული და მეთოდოლოგიური დახმარება ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროექტების განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა განხორციელდეს მრავალი მიმართულებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გუნდი მუდმივ კომუნიკაციაში იყოს არა მხოლოდ სკოლასთან, არამედ, ასევე სსსმ მოსწავლის მშობელთან.

ამრიგად, მულტი-დისციპლინური გუნდი, ფაქტობრივად აფასებს და წყვეტს ბავშვის საგანმანათლებლო ბედს.³⁵ მიუხედავად ასეთი მნიშვნელობისა, შესაბამისი ქართული კანონმდებლობა დეტალურად არ განსაზღვრავს მულტი-დისციპლინური გუნდის ფუნქციებს. მაგალითად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მულტი-დისციპლინური გუნდის ცნების განსაზღვრისას, მის უფლებამოსილებად მიუთითებს მხოლოდ პირის საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით შეფასებისა და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმის შერჩევის კომპეტენციას. გასათვალისწინებელია, რომ იგივე კანონის 26-ე მუხლი, უკვე რამდენიმე წელია მიუთითებს, მულტი-დისციპლინური გუნდის დებულების მიღების საჭიროებაზე, რომელშიც განსაზღვრული

³³ „ინკლუზიური განათლება – მოსწავლე, ოჯახი და სკოლა.“ გვ. 24 ხელმისაწვდომია: <http://ncp.ge/files/inclusion%20education/wignebi/28%20inkluzia-Ojaxi%20skola%20bavshvi.pdf>

³⁴ იქვე

³⁵ „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში“ ალტერნატიული ანგარიში. თბილისი 2016 წელი. გვ. 31 ხელმისაწვდომია: <http://cdi.org.ge/uploads/pages/alternative-report-on-the-implementation-of-crp-d-education-cdi-geo-91.pdf>

იქნება გუნდის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, მიუხედავად ამისა, ეს მოთხოვნა, ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. მიგვაჩნია, რომ მულტი-დისციპლინური გუნდის ფუნქციათა და საქმიანობის დეტალური განსაზღვრის არ არსებობა ნათლად გამოჩნდა მოცემულ სადავო შემთხვევაში, რაც, ჩვენი აზრით, სახელმწიფოსგან მოითხოვს დროულ რეაგირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ აძლევს შესაძლებლობას, რომ სრულად და ეფექტურად მოაწესრიგოს ინკლუზიური განათლების პროცესი, მათ შორის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებები, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის და მშობლის როლი, სწავლის შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი. ეს ყველაფერი კი თავისთავად სისტემის მოუქნელობას და პროცესის შეფერხებას იწვევს.³⁶

განსახილველი საქმის კონტექსტში, განსაკუთრებით თვალსაჩინოა სკოლის ადმინისტრაციის, სპეციალური მასწავლებლის და მშობლის როლის არასათანადო ნორმატიული რეგულირების პრობლემა. სკოლის ადმინისტრაციის ძირითად ფუნქციას მენეჯმენტი წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც, სკოლამ უნდა შეძლოს სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა და მშობლებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება. სკოლაში, სადაც ინკლუზიური განათლება ხორციელდება, დირექტორის უმთავრეს დანიშნულებას ინკლუზიური განათლებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა წარმოადგენს. მართალია, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, საკმარისად განსაზღვრავს სკოლის ადმინისტრაციის ფუნქციებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასაკმარისად არის მოწესრიგებული დირექციის როლი უშუალოდ ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეობის თვალსაზრისით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნორმატიულ დონეზე ასევე არასაკმარისად არის განსაზღვრული სპეციალური მასწავლებლის სტატუსი, მისი ფუნქცია და როლი ინკლუზიური განათლების პროცესში. ეს გარემოება კარგად ჩანს განსახილველ საქმეში. კერძოდ, როგორც საქმის გარემოებებიდან ირკვევა, მიუხედავად 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის მითითებისა, სპეციალურ მასწავლებელს, დაგვიანების მიუხედავად, განმცხადებლის შვილი მაინც შეჰყავდა გაკვეთილზე. აღნიშნული გარემოება მოწმობს, რომ იგი შინაგანად შეიძლება არც ეთანხმებოდა დირექტორის ამ გადაწყვეტილებას, თუმცა თავს ვალდებულად თვლიდა დამორჩილებოდა მას, როგორც უშუალო ხელმძღვანელის მითითებას. მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობა არასაკმარისად აწესრიგებს სპეციალური მასწავლებლის ფუნქციას, როლსა და ინკლუზიის პროცესში მისი გადაწყვეტილებების, დირექტორის გადაწყვეტილებებთან შედარებით უპირატესობის საკითხს, რაც, ჩვენი აზრით, შესაბამისი კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს.

³⁶ იქვე. გვ. 15

ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილეობისა და სათანადო როლის თვალსაზრისით, არასაკმარისად არის მოწესრიგებული სსსმ მოსწავლის მშობლის უფლება-მოვალეობები. კერძოდ, ნორმატიულ დონეზე უფრო დეტალურად უნდა მოხდეს მშობლისა და სკოლის ურთიერთობის იმგვარი რეგულირება, რომელიც სამომავლოდ აქ განხილულის მსგავსი შემთხვევების პრევენციას მოახდენს და შესაბამისი კონფლიქტების გადაწყვეტის ეფექტურ მექანიზმს შექმნის.

სახალხო დამცველი ასევე მიიჩნევს, რომ განხილულ საქმეში გამოიკვეთა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით სკოლის პერსონალის არასაკმარისად ინფორმირებულობა. მიგვაჩნია, რომ სამინისტროს მხრიდან აქტიურად უნდა მოხდეს არა მხოლოდ სკოლების პერსონალის, არამედ, ასევე, არა სსსმ მოსწავლეთა და მათ მშობელთა ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც საჭიროა ინკლუზიური განათლების თაობაზე სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის ღონისძიებების პერმანენტული ჩატარება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის მე-14¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგი ზოგადი წინადადებებით:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტი-დისციპლინურმა გუნდმა შეისწავლოს 41-ე საჯარო სკოლის დირექტორის ერთპიროვნულად მიღებული სადავო მითითების როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი მიზანშეწონილობა ინკლუზიური განათლების თვალსაზრისით; დაავალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტი-დისციპლინურ გუნდს, 41-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციასთან და განმცხადებელთან ერთად შეიმუშავოს განმცხადებელსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის არსებული კონფლიქტის გადაჭრის გზები, ასევე განმცხადებლის შვილისთვის იმგვარი ინდივიდუალური საგაკვეთილო განრიგი (მშობელთან კომუნიკაციის მეშვეობით), რომელიც თანხვედრაში იქნება მოსწავლის სპეციალურ მოთხოვნილებებთან და მინიმუმამდე დაიყვანს გაკვეთილზე დაგვიანების შემთხვევებს;
- დააჩქაროს ინკლუზიური განათლების მომწესრიგებელი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის დახვეწა. კერძოდ, საკანონმდებლო დონეზე დეტალურად განისაზღვროს ინკლუზიური განათლების მულტი-დისციპლინური გუნდის ფუნქციები, რომლებიც აამაღლებს მის ეფექტურობას სკოლებში ინკლუზიური განათლების ორგანიზებისა და მასზე ზედამხედველობის თვალსაზრისით, ასევე

მისი, როგორც სკოლასა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობლებს შორის შუამავლის ფუნქციებს;

- საკანონმდებლო და ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს სპეციალური მასწავლებლის როლი და უფრო ეფექტური გახადოს მისი ფუნქციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინკლუზიურ სასკოლო განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით;
- საკანონმდებლო დონეზე დეტალურად განისაზღვროს ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილე მხარეების უფლებები და მოვალეობები, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების როლთან მიმართებით; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ორგანიზება გაუწიოს მ. გრუმევესკის სახელობის თბილისის 41-ე საჯარო სკოლის თანამშრომლებისათვის ინკლუზიური განათლების პრინციპების უკეთ გაცნობის მიზნით შესაბამისი სემინარების ჩატარებას. სასურველია, თუ ამ სემინარებში მონაწილეობას ასევე მიიღებენ სკოლის სხვა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არ მქონე მოსწავლეების, განსაკუთრებით კი, განმცხადებლის შვილის თანაკლასელთა მშობლები.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად.